



## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 192

2011 წლის 21 დეკემბერი



ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ

“ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის “ქ” ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის 2012 წლის პროგრამა საერთო ბიუჯეტით 57472 (ორმოცდაჩვიდმეტიათას ოთხასსამოცდათორმეტი) ლარით.
2. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ან რაიონულ სასამართლოში ერთი თვის განმავლობაში (მის. ქ. ხაშური კოსტავას ქ. #15).

საკრებულოს თავმჯდომარე &nb



დავით ლომიძე

## ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების

### ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის მოქმედების სფერო მოიცავს: ქ. ხაშურში განთავსებულ გაერთიანების მთავარ ბიბლიოთეკას, დაბა სურამში განთავსებულ 1 ფილიალს, რომელიც ემსახურება როგორც ადგილობრივ ასევე საკურორტო სეზონის დროს ჩამოსულ დამსვენებლებს.

ბიბლიოთეკა არის კულტურულ საგანმანათლებლო და საინფორმაციო დაწესებულება რომელიც მომხმარებელს უზრუნველყოფს არამართო წიგნით არამედ პრესით და ინტერნეტით.

#### პროგრამის მიზანი

ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების საქმიანობის ხელშეწყობა.

#### პროგრამის ძირითადი მიმართულებები

- მუნიციპალიტეტსა და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრები მკითხველების სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ელექტრონული და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები);
- შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა და ამ დოკუმენტებით მომსახურება, როგორც ადგილზე გაცემით, ასე ასლების გაგზავნით ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტით და საერთაშორისო წიგნთგაცვლის საშუალებით;
- ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიის, წიგნთმცოდნეობისა და ინფორმაციის დარგში მეცნიერული და მეთოდური მოღვაწეობისათვის ხელშეწყობა;
- საბიბლიოთეკო საქმის ინფორმაციული ხელშეწყობა;
- ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების, გამდიდრების, რეგისტრაციისა და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვის ხელშეწყობა;
- ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და ამ მიმართულებით წარმოდგენილი სპეციალური პროგრამების მხარდაჭერა;
- არსებული წიგნადი ფონდის გადარჩევა და მომზადება ელექტრონული საინფორმაციო ბაზისათვის;
- ელექტრონული მედიათეკის შექმნა;
- წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით;

## პროგრამის ბიუჯეტი

განისაზღვროს ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ასიგნებები 57472 ლარის ოდენობით:

ხარჯების ეკონომიური კლასიფიკაცია	ხარჯების ეკონომიური კლასიფიკაციის მუხლები	სულ სუბსიდიების ოდენობა
21	შრომის ანაზღაურებას შრომის	41832
22	საქონელი და მომსახურება	15640
	<b>სულ</b>	<b>57472</b>

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

- ბიბლიოთეკით მოსარგებლეთა რიცხვის ზრდა.
- ბიბლიოთეკით მომსახურეობის გაუმჯობესება.
- სერვისით მომსახურეობის გაუმჯობესება.